1912 ფასი 5 კაპ. კვირა, 1 ივლისი 1912 წ.

მათრახი

№ 3

იუმორისტული ჟურნალი.

ჟურნალზე ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით არ ... წერილები გამოგზავნეთ: მრომის სტამბაში ...

№ 28

ფლავის მუშტრები.

„თფილისის ქალაქის თვითმართველობის შენობაში 24 ივნისს შემდეგი უბედურება დატრიალდა: ქალაქის გამგეობის წევრებს ამ დღისთვის საგანგებოთ შეეგზავნათ ფლავი, მეოთხე სათათბიროს საარჩევნო სიების შემდგენელთათვის. ეს გაზეთის საშუალებით ამცნეს ქალაქის მცხოვრებთ. ღილიანვე თვითმართველობის შენობას აუარებელი მუშტარი მოაწყდა, ფლავის ჰამის საღერღელი ბევრს აშლოდა. გაწვდილი ხელებით გრძნობით შესთხოვდენ მუშტარნი პ. ა. არღუთინსკის, რომელსაც ფლავი ხელში ეჭირა, ცოტა ეწილადებია ყველასათვის. მუშტართ მოთმინება დაეკარგათ და საბჭოს დარბაზზე იერიში მიიტანეს, მაგრამ აქ მოხდა უბედურება. დარბაზიდან გამოცვივდენ ლამაზ-ლამაზი გოგონები და დაერივნენ. ყველას ხელში თითო ყოვი ეჭირა, ყოვზები კარგა ხანია, რაც მათთვის უკვე დაერიგებინათ, ბანოვანთათვის თავდადებულ და გულ-მოყვარე რაინდებს. გამწარებულმა „ბარიშნებმა“ ყოვზებით თავები დაუტეხეს აუარებელ ხალხს და უკუ აქციეს. აღმოჩნდა 40 მძიმეთ დაჭრილი და 70 მსუბუქათ. სულ მთლათ მოჰკლეს 15 კაცი. „ბარიშნებთაგან“ არავინ დაშავებულა.

(„სახ. გაზ.“ ქრონიკა).

მ ე გ ო ბ ა რ ს.

—

კონას გიძღვნი, იის კონას,
ლილის ნამით დანაპაკურავს!
მარქვი, სიო გაზაფხულის
მწუხრის ბინდზე ფრთას რათ სწურავს?

ზღვის გულ-მკერდით ანაქროლნი
ზღვის სიზრცენი სანეტარო
გაჰქრენ? მაშინ ოცნების ფრთითი
ვის გულ-მკერდზე დავემყარო,

ზღვის წალკოტში ია ვთესე,
ია დავრგე, ია ვზარდე,
და შენც კონა, იის კონა
ჩამომართვი თუ გიყვარდე.

ფრთამან, დიახ, ოცნების ფრთამ
ზღვის ნიავი უნდა სეროს...
მხოლოთ შენგან სიტყვას ვუცდი,
მგოსნის სიტყვას, სასიმღეროს:

გმირულ სიმებს შვების ჩანგზე
ჩვეულებრივ გაჰკა წკირა!
შენანების ცრემლი წასკდეს,
ვინც „ჩვენ“ ერთხელ „დაგვიტირა“.

გულს ხელი ჰკარ „ფესაფლავე“-ს,
მან სხვა ნახოს დასამარხი:
აღრიჟინოს უქმად, სანამ
არ გაუცვდეს აზრის ჩარხი.

შენ კი, ია რომ მიიღო,
შენთვის კონად ჩემგან წნული,
სასიმღეროთ გამოეწყვე,
გადაფურცლე მგოსნის გული.

სიტყვას ველი შენგან, სიტყვას,
ქარაგმულს და ამოქარგულს.
თავს მოვევლოთ „იმედის ბუჩქს“,
საოცნებო წალკოტს დარგულს:

დავუკოცნოთ ფესვი, ღერო
და მოეძღვნათ იის კონა,
ჩვენ ხომ ორნივ იმ მცენარემ
ერთნაირად დაგვიმონა!

და მეც შენგან სიტყვას ვუცდი,
მგოსნის სიტყვას, სასიმღეროს,
რომ ოცნებამ ზღვის სიღრმიდან
ზღვის სიზმრები ამოსწეროს,

ზღვის სივრცეზე ყოფნის სიო
დაუღლელი ფრთებით სეროს.
ქვეყნის ბედი მომავალი
გამოჰქნის და გამოჭეროს...

ნ. ზომლეთელი.



თანამედროვე ქართველი მწერლები.

(კრიტიკა ულმობელი და შეუბრალებელი)

წერილი პირველი.

ვიღაც ბრძენს უთქვამს: „ოდეს გამრავლდენ პოეტები, ბელეტრისტ-დრამატურგები და კრიტიკოსები, ის ერი, რომელმაც იგინი წარმოშობა აუცილებლათ უნდა მოისპოს და ეს უტყუარი ნიშნებია მისი უკანასკნელი წუთებისა“-ო. ვიღაც ყოფილა ის დალოცვილი ბრძენი ადამიანი ან წინდაწინვე გათვალისწინებული ჰქონია ჩვენი უბედურობა და ჩვენი გულის გასახეთქათ წარმოუთქვამს ეს ბრძნული სიტყვები, ან არა და იმ დროს, როცა ის ცხოვრობდა, ყველანი გიჟები ყოფილან და ის როგორც ნაკლები გიჟი სხვებს ბრძნათ დაუსახავთ და მის გიჟურ სიტყვებს ჩვენთან ისე ასაღებენ, როგორც ბრძნულს. თუ მის მიერ ნათქვამ სიტყვებს დაუჯერეთ მთელ ქვეყანაზე ყველაზე უწინ ჩვენ, ქართველები, უნდა გადავშენდეთ და რადგან ამ უკანასკნელ ხანებში პოეტ-ბელეტრისტ-დრამატურგ-კრიტიკოსების რიცხვმა მკითხველთა რიცხვს გადაუტარა (ეშმეტსათ პოეტებმა, რაც „თემი“-ს მიერ გამოცხადებულმა კონკურსმა დაამტკიცა და რასაც ეხლა ამტკიცებს პროვინციებიდან მოსული კორესპონდენციები.) ეშვს გარეშეი ჩვენი დღეები დათვლილია და სულ რამდენიმე თვის (შეიძლება კვირის) შემდეგ უნდა გავქრეთ.

არ შეშინდეთ! ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ბრძენი მართლა ბრძენი იყო და მისი სიტყვები ბრძნული და დასაჯერებელი. მაგრამ მე დაგარწმუნებთ ყველას, რომ ის ბრძენი გიჟი ყოფილა. მე ვამტკიცებ, ბატონებო, რომ ის ერი ყველაზე მეტს სცოცხლობს, რომელსაც ჰყავს თავის ცხოვრების გამომხატველი მწერლები (ამასაც ვიტყვი რომ პოეტების მეტის-მიტი სიმრავლეც არ ვარგა). ყოველი მწერალი, პოეტი იქნება ის თუ ბელეტრისტი, თუ დრამატურგი, თუ კრიტიკოსი იმ ხალხის, იმ ერის ბარომეტრია, რომელმაც ის წარმოშვა. მაგალითად ერის ცხოვრებაში მოხდა რამ ღირსშესანიშნავი ფაქტი, ესთქვათ ნახშირით დატვირთულმა სახედარმა ტალახში წაიჩოქა, თუ ამ ერს მწერალი არა ჰყავს ეს შესანიშნავი ფაქტი აღუნიშნავი დარჩება და მომავალ თაობას წარმოდგენაც არ ექნება არა თუ იმ ადგილზე სადაც სახედარმა წაიჩოქა, არამედ თვით სახედარზე, რამდენი წლისა იყო. გამხდარი იყო თუ არა, რამდენი ფუთი ნახშირი ეკიდა, როგორი ყურები ჰქონდა და სხვა.

ბედნიერია ის ერი ვისაც მწერლები ჰყავს! პოეტს შეუძლია ამ დროს გულის გამგმირავი ლექსი დასწეროს. ის პირდაპირ სახედარს არ შეეხება, ეს ფაქტი ისეთ ღრმა შთაბეჭდილებას მოახდენს მასზე, რომ ის ფიცხლივ დედამიწას შორდება და ჰაერში დაფრიალობს., თავში ქაოსი უქიქინებს, ხელში ყავარჯენით მთვარეზე დასეირნობს, ვარსკვლავებს პირს ბანს და მზის ოქროს სხივებს მუჭით აფრქვევს

იმ ადგილს სადაც ჩაჩოქილი არის სახედარი. ამგვარად განმზადილი პოეტი სოხზავს ლექსს, რომელიც შთამმავლობიდან შთამმავლობაზე გადადის და ყველას ახსოვს ის წმინდა ადგილი, სადაც სახედარმა ჩაჩოქა.

ბელეტრისტს ასეთ სურათის დანახვაზე გული საშინლათ უწყდებს ცემას, თვალებიდან ცრემლთა ნიაღვარი წასდგება, სახედრის ასეთი მდგომარეობა მასზე საზარლათ მოქმედებს, ის თვალს მოავლებს მიდამოს, მოიმართება და იქვე სოხზავს თავის ნაწარმოებს, ის დედამიწას არ შორდება, ის წაჩოქილ სახედრის გვერდით სდგას. კარგი, ნიჭიერი ბელეტრისტი საუკეთოვით აღგვიწერს ასეთ შემთხვევებში ქუჩას, სახლებს, მიმავალ ხალხს, ამინდს, სწვიმდა თუ მზიანი დღე იყო, დასავლეთის ქარი ქროდა თუ აღმოსავლეთის, აღგვიწერს ტალახს, რომლის მსხვერპლიც გახდა უბედური სახედარი, თხელი იყო თუ სქელი, ყვითელი თუ შავი. რა დრო იყო, საიდან მოდიოდა სახედარი, ვინ მოსდევდა უკან და რა იყო მიზეზი მისი წაჩოქების. ამგვარათ აღწერილი ფაქტი ფრიად ანვითარებს ყოველი ერის შვილთა გოგრას; ესთქვათ თფილისში მოხდა ეს ამბავი, მოხისელი ბლები ჰკითხულობს თავის სახლში პოეტ-ბელეტრისტთა ნაწარმოებს და ეს ისე ნათლათ უხატავს ყველაფერს თითქოს თავის თვალით ენახოს ყველაფერი. და თუ ოდესმე ან ის ან მისი შვილის შვილი თფილისში ჩამოვიდა 40—50 წლის შემდეგ ის აუცილებლათ იცნობს იმ ადგილს და ქუდის მოხდით პატივს სცემს.

აქედან ამჯარათ სჩანს, რომ წინააღმდეგ ვიღაც ბრძენისა, როძელსაც ზემოთ მოყვანილი გიჟური სიტყვები წარმოუთქვამს, ის ერი ყველაზე მეტს სცოცხლობს ვისაც მეტი მწერლები ყავს. ამასთანავე ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერისთვის მარტო პოეტ-ბელეტრისტები არ კმარა, მას უნდა ჰყავდნენ კრიტიკოსებიც. ხშირათ პოეტ-ბელეტრისტი ისეთ რამეს სოხზავს, რომლის გაგება შეუძლებელია, აქ კრიტიკოსმა უნდა აუხსნას თავის ერს რა სურდა ეთქვა პოეტს ან ბელეტრისტს. ამ მხრითაც დიდათ ბედნიერნი ვართ ქართველები. პოეტ-ბელეტრისტთა ზრდასთან ერთათ კრიტიკოსთა რიცხვიც თანდათან მატულობს ჯ „მამიდაშვილურმა“ კრიტიკამაც საზოგადო ასპარეზზე დიდი ადგილი დაიჭირა. მაგრამ მიუხედავათ ამისა სამწუხაროთ დღემდე არა გვაქვს ერთი მთლიანი კრიტიკული ნაწარმოები, არა გვაქვს წარმოდგენა ყველა ჩვენ მწერლებზე. ზოგს ვიცნობთ და ზოგს ვერა, ვიცნობთ მათ, რომლების „ხათრისთვის“ სწერენ კრიტიკოსები და მწერლებათ ნათლავენ ისეთებს, რომლებსაც სახედრის ამბის ჩამოსხმაც კი არ შეუძლიათ პოეტურ ფორმებში.

აქეთ იქიდან გვესმის ყვირილი და თავში ცემა: „მწერლობა დაეცა, არა გვყავნან პოეტ-ბელეტრისტები, აღარა გვყავს შოთა რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნინოშვილი, და სხვანი. არა, ბატონებო, გულს ტყეილათ რაზე იხეთქავთ, თავს რაზე იკლავთ. მე ვამტკიცებ, რომ მწერლები გვყვანან, შოთა რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნინოშვილი და სხვები ცოცხლებენ ერან. არა გვყვანან, ბატონებო, კრიტიკოსებიც. ეს ერი ამ მთლიანი კრიტიკული ნაწარმოები. ამ გარემოებამ მაიძულა შეუდგე ამ ნაკლის შევსებას.

ფრიად დიდ საქმეს ვკიდებ ხელს, დიდი გამბედაობა და ენერგია არის საჭირო, მაგრამ იმედი მაქვს სხვათა დახმარებით შევასრულო ეს დიადი საქმე. მე მსურს ყველა ჩვენს მწერლებს ერთად მოუყარო თავი და თვითოეული მათგანი დაწვრილებით გავაცნო საზოგადოებას, სულ ერთია ნამდვილი მწერალი იქნება, თუ მწერლობის მანინთ გატაცებული (თუ კარგი მწერლები გვინდა ცუდიც უნდა გვინდოდეს, ის მაინც უნდა დავაფასოთ რომ სურვილი აქვთ მწერალი გახდეს).

როგორც ზემოთ ვსთქვი დღეს დღეობით მთლიანი კრიტიკული ნაწარმოები არ მოგვეპოება. მე მსურს, ვინც კი ერთხელ გამოსულა ჩვენს საშწერლო ასპარეზზე, ვისაც ერთხელ მაინც დაუწერია ლექსათ, თუნდაც უბრალო კორესპონდენცია სამტრედიიდან ან ხონიდან, ყველას შევეხო და მისი ღვაწლი არ დაუკარგო ქართველ ერს. ხოლო ვინიცობაა უნებლიეთ (იგულისხმეთ „მამიდაშვილური“ კრიტიკა არ იქნება ჩემი კრიტიკა) გამომრჩეს ვინმე ვსთხოვ ყველას გვაპატიოს და რაც შეიძლება საჩქაროთ მაცნობოს თავის ვინაობა, გამომიგზავნოს თავის ბიოგრაფია, ნაწარმოები და სურათი, სიამოვნებით მივიღებ და გავარჩევ.

ყველა ჩვენ ქართველ მწერლებს და მოღვაწეთან მე ყვოფ სამ დიდ ბანაკათ: მოკუტები, ბელეტრისტ-დრამატურგები და კრიტიკოსები.

შეიძლება მწერალთა ასე დაყოფა ცოტა მოუხეშავი იყოს, მაგრამ დაგარწმუნებთ ამგვარათ უფრო ნათელი წარმოდგენა შეიძლება იქონიოს ქართველმა ერმა თავის საუკეთესო შვილებზე. რადგან პოეტთა რიცხვი თითქმის სჭარბობს ერთათ აღებულ ბელეტრისტ-დრამატურგ-კრიტიკოსთა რიცხვს (ეს გარემოება ძალიან მაფიქრებს, შეიძლება აქ გამართლდეს იმ ბრძენის, თუ გიჟის, ნათქვამი სიტყვები) ამიტომ მე ვიწყებ პოეტებიდან. განზრახული მაქვს თვითოეული პოეტის სახის მოხაზულობა, ბიოგრაფია და მისი ნაწარმოების კრიტიკული განხილვა ცალკე წერილებათ მოვათავსო ჩვენ ჟურნალში. ვსთხოვ ყველას ვის სურათსაც ჩვენ თვითონ ვერ ვიშოვით, გაისარჯონ და მ ივვაწოდონ, საჭიროა აგრეთვე ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობები. ამასთანავე საჭიროთ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ ზოგიერთ მწერლებზე ორხელ მექნება ლაპარაკი, რადგან ბევრი ცალი ფეხით პოეტები არიან და ცალით ბელეტრისტები; ამიტომ შეცდომათ არ მიიღოთ, თუ ორჯერ მოვიხსენიე. თვითოეულ ნომერში თითო მწერალს გავარჩევთ. პირველ ბანაკში იქნებიან პოეტები: ს. ბაბაშვილი, შ. ამირეჯიბი, ბ. ეხოსპირელი, რ. ბებიაშვილი, გ. გვარსაგ, ი. გრიშაშვილი, ბ. ბეგელ, ი. ეკვდრშვილი, ნ. ზამდეთელი, დ. თუმანისპირელი, რ. ლეზსუშვილი, ასსმანი, ლ. ლარჩაა, დ. მეზონკურე, ვ.

მაღალქალაქელი, მწვადდამეული, ფ. რუსაველი, ფაშალიშვილი, გ. ქეჩიშვილი, ვ. რუხაძე, ნ. ნხიკვაძე, ს. შანშიაშვილი, და პროფესიონალ უკვალ კორესპონდენტები, რომლებსაც ერთი კორესპონდენტიც მაინც დაუწერია ლექსი და მრავალი სხვანი, რომლებიც თუმცა ჯერ არ კამოსულან „სატიტრ“ ასპარეზზე მაგრამ ტვინის პოეტურ ნაწილში მწერლობის ქვეყანის ნიშნები აქვს.

მეორე ბანაკში ბელეტრისტ-დრამატურგები: შ. არაგვისპირელი, ი. ეკალაძე, ს. ეთვანი, ბედეგანიშვილი, მ. კარიეული, მაღალქალაქელი, კ. ამირაჯიბი, კრ. დასიმაძე („თემის“ რედაქტორი) ნ. ბურდულაშვილი („სასიხარო კაზეთის“ რედაქტორი), ერ. გორგელაძე („ზაკ. რეჩის“ კამოცემემელი და კაზეთების კამეზ: ბიურ. კამეგე), თ. ბოდვაძე („მთრასის“ რედაქტორი), დორთქიფანიძე, ქალაქელი, რამიშვილი, ირეთელი, ფოცხოველი, ნარკანი, ანთეშა, ი. შანიძე.

მესამე ბანაკი—კრიტიკოსები: კრ. რობაქიძე, მ. წულუკიძე, ს. ბაბაკა, კ. ბაბაძე, ი. კომართელი, ს. ჯაჯანიშვილი, კ. ასალდასელი, ვ. ედიანა (მთავარი ქრონიკიორ-კრიტიკოსი). მ. კაჩეჩიაძე („ზაკ. რეჩის“ მაკეტადგი), ბ. კიდაძე (ეთეშების მაკეტადგი), ვ. ბოდვაძე „სახ. კაზ.“ მაკეტადგი), დ. სართიშელი, და ქეთოთური „სილოგანი“.

დავიწყოთ ს. აბაშელიდან.

ირეთელი.

(შემდეგი იქნება)

სხვისი ცოლი და სხვისი ქმარი საგარაკოთ.

პრინცესა და ბარონი.

ხასიმღერა. [illegible]

ვუძღვნი ტასოს.

(თარგმანი)

1

ერთხელ სადღაც ერთსა მხარეს
ცხოვრობდა იქ პრინცესა,
დაბადებით, ეშმაკისგან
ზნეთა სპირდა მას ესა:
სადაც რასმე გაიგებდა
უსათუოდ ხითხითებდა.
ხა-ხა-ხა! ხა-ხა-ხა!

2

ერთხელ ტყეში პაემანზე
ბარონმა დაპპატიჟა
და მეტის-მეტ კოცნის ცეცხლით
დახრუკა, გაიგიჟა.
პრინცესა კი ტუჩს უშვერდა
და გიჟივით ხარხარებდა..
ხა-ხა-ხა! ხა-ხა-ხა!

3

ღამემ შთანთქა დღე-ნათელი
და მთვარეც ამოგორდა;
ბარონი კი ჩვენს პრინცესას
ჰკოცნიდა, არ მოშორდა;
თუმც პრინცესა გრძნობდა კარგა,
რომ რაღაცა დეკარგა...
ხა-ხა-ხა!.. ხა-ხა-ხა!

4

აი, განქრა გაზაფხულიც,
ზამთარი ახლოვდება;
და ბარონიც გაჰქრა სადღაც,—
პრინცესა არ ღონდება...
ის აკვანთან დაფუსფუსებს
და თვის ბავშვთან კვლავ კისკისებს:
ხა-ხა-ხა!.. ხა-ხა-ხა!..

გრი-გრი.

დამსადურებული საუკედური.

მოწყალეო ონისიმე,
გაზეთში რომ გამომეპიმე,
შენგან ამას მოველოდი?
მიკვირს დიდათ, იმე! იმე!
განა სხვა კი ცოტა არის
ამ მთისა თუ იმა ბარის;
უარეს წყალ-წაღებული
და დაცინვის ღირსი მწარის?

აღარ გახსოვს მელიტონი,
მოხაზული, მოსაწონი,
ეხლა ბაქოს ქართულ სკოლის
ბალი-ადა და ბატონი?
განა ის კი ღირსი იყო,
ბაქოში რომ დამჯდარიყო?
ეს თუ კი სამართალია,
წყეულიმც და კრულიმც ვიყო!
მხოლოთ საქმე ჭანდრაკული,
ნავთ მაზუთში მოხრაკული
გაგასწორებს, მრუდეც იყვე
წელში ხუთად მოკაკული.
ვინც არ იცნობს თაქთაქოვსო
და იქ ადგილს ისე სთხოვსო,
აშავებენ თურმე თოვლსაც,
სხივსაც, მზიდგან დანათოვსო!
ეს ჩახლაძე ვინ-ღა არი?
მე არ ვიცი მისი გვარი!
მხოლოთ, ვით სჩანს, ბაქოს სკოლის
ის ყოფილა წინამძღვარი:
სკოლა უვის მონასტერათ,
შიგ სიძე ჰყავს, თურმე, ბერათ
და მონაზვნათ კვიდრიეე და:
მოდით, ნახეთ, თუ არ გჯერათ!
ბაქოს „ქ.შ.წ.-გ."-ნის გამგეობას
გულით ვუძღვნი დიდ მადლობას,
დამავალებს, მომავალშიც
თუ მომაწვდის ასეთ ცნობას.
შენ კი, ჩემო ონისიმე,
რაზედაც გწერ ამ წამში მე,
სინჯე და, თუ წესი იყვეს,
სხვაც ჩემს გვერდით გამოსჭიმე!..

სვიმეონ მიმრქმელი.

გამოცანა.

მგოსნის ცრემლში—ქალის ცრემლი,
ცრემლში—ეეცხლი, ეეცხლში—რკინა;
წყალში—თაფლი, თაფლში—ღვინო
და ღვინოში—„სპიტინა"...
მგოსნის ნიჭსა ლაყე კვერცხში
რა ქათამმა მისცა ბინა?
ოქროს ფეხსა ქალწულისას
მგოსნის ცრემლი რამ ადინა?
და ეს ცრემლი ამ ყოფაში
რა ჯანდაბამ გააცინა?
მგოსნის ცრემლში—ქალის ცრემლი,
ცრემლში—ეეცხლი, ეეცხლში—რკინა;
წყალში—თაფლი, თაფლში—ღვინო
და ღვინოში—„სპიტინა"...
ცრემლი—ცრემლით რომ იცინის,
გავიცინე... გამეცინა!..

ონისიმე.



გაფრთხილება.

კვლავ მათრახი, დახეთ, დახეთ!
სძინებია, არ მომკვდარა!..
ეხლა ნახავს თვალის სეირს
ვინც მოკვდაო, გაიხარა.
კვლავ მათრახის მწვავე კუდით
ელოდეთ ზურგ აცხუნებას,
ვინც დროზედ არ გაფრთხილდებით
ნეტავ თქვენ და თქვენ გუნებას.

შხანკოლა.

გასართობები

თავის გამოჩოლება. ერთ ბიურეკრატიულ დაწესებულებაში ერთი მოხელეთაგანი ხშირ-ხშირად იგვიანებდა სამსახურში მისვლას. ერთ დღეს უფროსი დაუდარაჯდა კარებთან და შემოდგა თუ არა ფეხი სტაცა ხელი და დაუწყო ყვირილი.

— კიდევ არ დაშაჯდე და ასე გეყან მოდიხართ სამსახურში? ეს რასა ჭკვეს? თუ ასე განაგრძეთ დაგითხოვთ!

— მეპატეეთ!.. მეპატეეთ, ბატონო, დღეს ჩემ ცოდს მძიმე მშობიარობა ჭქონდა.

— ბიჭონს? ვინა გეკონიკარ თუ იცით, რომ ასე თავხედად მატეუადებთ? ამ ორი კვირის წინად ესეეე მიზეზი მოიეანეთ თქვენის დაკეიანებისა. ერთი გამაგებინეთ დეთის გულისთეეს კეურდეეადი ხომ არ არის თქვენი ცოდი, რომ ასე წამ და ეეეეს ჭვრის შეიდეებს?!!

— უკატრავთ, ბატონო, თეითონ კი არ მშობიარობს ის ბებია ქალი გახდაყეთ.

უებარი წამალი. შუადამისას ექიმს ხარი დაურეკეს.

— ვინ ხარ? ან რა გინდა? შეეკითხა ის მისულს.

— ცოდი მიგვდეს ექიმო, ცოდი, მიშველეთ დედის გულისთვის.

გულგეოდმა ექიმმა ხელთა პალტო კალიტვა და კბენვა.

დოგინში იწვა ავადმყოფი და მწარეთ ვვნესდა.

— რა კტკივილთ? შეეკითხა ექიმი.

— ექიმო მიშველეთ! მეძინა და დია პირში ოკვი ჩამიხტა და ტოტსდა კალვეფენე.

— ეგ შეუძლებელია, ქალბატონო, თქვენ უთუოდ სიზმარი გინახავთ!

— ამა რას ამბობთ? ნამდვილად ვიცი, რომ კალვეფენე, ეი კიდეც ვგრძნობ როგორ ინძრევა, მიშველეთ! დედის გულისთვის! კამომწერეთ რაც წამალი გინდათ ეველაფერზე თანახმა ვარ.

ექიმს მოთმინება დაეკარგა.

— თუ თანახმა ხარ მაშ მე გიწერთ თქვენ კატას ჩაკვლავეთ ტოტსალი კატა და თუ ამ საშუალებამ არ გასკრა, ეველაფერი გიშველიდეთ.

—

ჭკუის კოლოფი

— ამა, ვანო, მითხარი რისკენ არის კალეთებული შენი ხელთა?

— მეფალისკენ.

— მართალია! ამა ენდა ეს მითხარი მეფეს რისკენ აკეთებენ?

— მატეფისკენ.

— ეოსალ! მატეფს ვინ კვლიდეს?

— ტნვარი.

— ეი, ბეკეს! კოდოფი! ეოსალ, ექვსებს მასწავლეთ ბალი.—მაშ რომელმა ტნვეფმა მოგცა შენ ეს ხალთა?

— მამამ.

—

დამახინჯებული დეპეშა.

ერთ დამაზ მანდალმანენს თითქმის ორი წელიწადი არ ენახა თავისი ქმარი, რომელიც შორს სადღაც მსახურებდა. ორი წლის შემდეგ ცოლმა კაიგო, რომ ქმარმა „ნინი" მიიღო და ხელთა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„კილოტეკოთ ნინს".

როგორც სიზოგადოთ ხდება, ქმარმა შემდეგი დეპეშა მიიღო: „კილოტეკოთ შეიდს".

გაკვეკებული ქმარი დეპეშოთვე დაცინვით შეეკითხა:

„ვისი წესლობა არის, ვისი მადლობელი უნდა ვეოთ?"

ცოლმა არ დაეკვანა და უპასუხა:

„მრავალი ხალხის, უმეტესთ კი ავანე ქაიხოსროს ძის".

—

მოსამართლესთან

— თქვენი გვარი?

— თავადაძე.

— მერამდენჯერ გასამართდებენ?

— მეოთეჯერ.

— სულ შენამ ქურდობისთვის?

— დიახ, სწორედ მაგ ხელობისთვის.

— კანა თავის დედეში არ თქვენობთ გასწორებას და სულ შენამ ცხენი უნდა ეგდოთ?

— ამა, ბატონო, გუდზე ხელი დაიდეთ და მართალი სთქვით, მაქვს კი კანა დრო, რომ გასწორებაზე ვიფიქრო? სტუნსდიდან გამოსვლიდან ვერ ვასწრებ, რომ თქვენ ისევ უკან მაგზავნით და რადაღდა უნდა გავასწორდე?

—

ხერხიანი მოხეიდვა

ამ რამდენიმე ხნის წინათ ქუთაისის გუბერნიაში ერთ სამაზრო ქალაქში ადგილობრივ ვექილთან მივიდა სოფელი კლეკი და სთხოვა დაეცვა მისი საქმე. უნიდა მეზობელი კლეკი.

ვექილმა გასინჯა საქმე, უთქვამთ ხელი ჩაეწერა და უთხრა რომ საქმის მოგება შეუძლებელი იყო.

— ეთიოდე, ოქროსავით სამინდიო კაზრდილი, ქალაქები რომ ჩამოვეგვარო სოფლიდან და მივარდეა მოსამრთლეს არ დაეშვარება ნეტავი? შეეკითხა ვექილს გულუბრეველი კლეკი.

ვექილს გაეცინა.

— ამა რას ამბობ ბეტრე. ალბათ კაკონილი ვექინება, როგორი კაცია ჩვენი მოსამართლე, ამისი მოსაყიდვა ქალაქებით კი არა არაფერით არ შეიძლება ეგ რომ კაბეკი სულ დაიდეკეა.

კაიარა დრომ. საქმე დანიშნა. თუმცა ამედი არა ჭქონდა, მაგრამ ვექილი ამაც კამოგიხადა სასამართლოში და დაიცო ბეტრეს საქმე. ჭიო, სკვეორეკეკაბ, ეს უმეტესი საქმე საკუთარი მოიგო ვექილმა.

— ჭკ, ბატონო ადუკატო, მეუბდოვედ ვექილს კლეკი და მსარეზე ხელი დაადო—კასკვრა ხომ ჩემმა ქალაქმემ?

ვექილი კანცეფიერდა.

— რა, კანა კაბეკე და ქალაქები კაუგზავნე მოსამართლეს? ეგ დაუჯერებელი ამბავია.

— დიახ, ბატონო, კაბეკე და კაუგზავნე, მაგრამ... ჩემი მოწინააღმდეგის მაგიერ.

მოწერილი ამბები.

ხად. სამგრედია. ამდენის ხნის სიჩუმის გამო ზოგიერთ აქაურ რკინის გზის მოსამსახურეთ ეგონათ „მათრახი" მოკვდაო და მათ აღვირწახსნილობას სამზღვარი აღარ აქვს, თუმცა ბევრს ვეჩიჩინებოდი და ვუმტკიცებდი, რომ „მათრახი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მომკვდარა, არამედ ბევრი შრომის შემდეგ ისევ-ნებს და სულ ჩქარა მოგეკლინებათ მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს, პირიქით კიდეც მემუქრებიან შენ „ხულიგანი“ ხარ ქართველების დაღუპვა გინდა და მისთვის გეჩვენება ყველაფერი ქრთამთო, თორემ რა ქრთამია, თუ კი „კაზნას“ რაღეს ჩამორჩები ან თუ მსხვილ გამგზავნელებს თითო „კონსულამეტში“ თითო ქანქარა ავიფიცქვნითო, ან რა საპიროა გარეთ სადგურის გარშემო გზებზე ათი „გალკინის“ ფანრების განთება იქ ხომ მთვარეც კი ანათებს და როდესაც მთვარე არ არის მაშინ ფრთხილად იარონ მეისრეებმა და კონდუქტორებმა, რადგან ამისთანა ეკონომიით 60 ფუთი ნავთი მაინც დარჩება და კარგია თვეში 60 ქანქარი სადგურის უფროსისათვის, რადგან ის ავადმყოფი კაცია. ამისთანა საბუთებით იმართლებენ თავს აქაური მოხელენი და როცა გიგიეს „მთრახის“ გამოსვლა და თავის თვალით ნახეს, თავზარი დაეცათ. შიშით სული კინაღამ გასცვრათ, როცა გიგიეს ერთი „ეშმაკთაგანი“ პირდაპირ სამტრედიაში წამოსულა სარევიზოთ, რომ დაათვალიეროს აქაურობა და საკუთარი თვალით ნახოს ყველაფერი. დარწმუნებული ვარ ბ-ნი რევიზორი მტარებლის გაჩერებისთანავე ბუფეტში შეიკრა, რომ ლაღიძის ცივი წყალით, გიგრილოს გახურებული გული, მაგრამ მის მაგიერ მიართმევენ ადგილობრივ ზაოდის ხელოვნურ წყალს, ბაყაყებით სავსე სურნელოვან ჭაში ჩაციებულს. გაიფოთხილეთ რევიზორი, რომ უსადილოთ არ წამოვიდეს, თორემ სამი დღის ბუზებიან მეგრულ „ბორჩით“ გაუმასპინძლდებიან. სისუფთავეზე ხომ ნუღარ იკითხავ, მაქ სამიკიტნო დუქანი უფრო სუფთა იქნება, ვიდრე აქაური პირველი კლასის ბუფეტი და როგორ არ ეკუთვნის აქაურ მებუფეტეს მთრახით გვერდების აკრეკლება?! იქნება დაიწყონ თავის მართლება, რომ სადგურის უფროსი ბ-ნი გლადკოვი არ წუნობსო, მაგრამ დაარწმუნეთ ბ-ნო რევიზორო, რომ ბუფეტი მგზავრებისთვისაა და არა სადგურის უფროსისათვის და მის მაგიერ, რომ მას ძღიოს ქანქარი, მწმენდავი დაიყენე და უფრო წესიერი იქნება თქო.

სადგურის უფროსი აუცილებლათ უნდა ინახულოთ კაბინეტში, მაგრამ არამც და არამც არ მოგხიბლოს ვითომ და მისმა „სიმპატიურმა“ მოხახულობამ, ეს ქანქარსაც შემოგაძლევს, რომ საბარგო განყოფილება არ ინახულო და მისს საქმეებს რევიზია არ გაუკეთო, ტკბილად დაგიწყებს ჭიკჭიკს, რომ თვალი აგიხვიოს, მაგრამ თქვენ ყურს ნუ უგდებთ და პირდაპირ მისი კაბინეტის გვერდის ოთახში შეიარეთ. აქ ნამდვილ ბაზარს ნახავთ. აქვე ნახავ კონტორჩიკებს, კონდუქტორებს, მეისრეებს, მატარებლების შემდგენელებს, უბილეთო მგზავრებს ანუ „ბრუკიანებს“, (ხაიჩიკებს) შვაზე მაღალ საწვნობებს, (ისეთს როგორსაც ეკლესიაში დიაკვნები ხმაორობენ) და მასთან ფეხზე მდგომ მორიგ აგენტს, რომელიც ხან აქეთ ეხეთქება და ხან იქეთ, ხან ტელეფონთან მიეკრდება და ღრიალებს „ეუზლი ქეზლიო“, რომ დროზე გაუშვას მატარებლები, მაგრამ ყურთა სმენა არ არის ამდენ ხალხურ ხმაურობაში რადგან ძალზე ღრიალებენ: ზოგი რუსულათ ილანძღება, ზოგი მეგრულათ ბურდღუნებს, ზოგი პაპიროსსა სწევს და ხელში გამურული ფანარი უჭერია, რის გამო საშინელი ბუღი და სიმყრალე სდგას ოთახში და ამას ჰქვიან: სადგურის უფროსის კანტორა.

საბარგო განყოფილებაში (Багажное отдѣленіе) ნახავ ნამდვილ „საქანქრეთს“ კასირ დარასელია-აგიკინის გამგეობით და ბ-ნი გლადკოვის თავმჯდომარეობით (დამფუძნებელი საქანქრეთისა) აქ კი დიდი რევიზია და დაკვირვება გუჩარია. თუ ამათ ხრიკებს მოუნახავ თავ ბოლოს, მაგრამ უმთავრესი ყურადღება მიაქციე გასაგზავნ სანოვაგეს და „ნაკლადნოის“, რომლებიც თითო ქანქარი ღირს დამფუძნებლების სასარგებლოდ, რა გინდა სულო და გულო, რომ აქედან არ იგზავნებოდეს რუსეთის ყოველ კუთხეში: ბალი, ხედუა, მკვახე ატამი, მკვახე მსხალი, მწიფე კიტრი და ვინ მოსთვლის კიდევ რა. ყველა ამის გასაგზავნათ ვინც მეტ ქანქარს გიიდებს უწინაც მისი საქონელი წავა და რადგანაც ყველა გამგზანელებში გ. შოშიაშვილი უფრო დახელოვნებულია და სადგურის უფროსთან დაახლოვებულია ქანქრის წყალობით, ამისათვის ამის ხილიც ბევრი მიდის და სხვები კი რჩებიან პირში ჩალა გამოვლებული. რაც შეეხება იმას რომ სადგურის გარშემო რკინის გზის სამუშაო ლიანდაგები, იმ სახლთან მიმავალი გზა, სადაც დაღლილი კონდუქტორები ისვენებენ და გარდასასვლელი ხიდი უკუნეთით არის მოცული და ფანრებს კი არ ანთებენ, გაგონილი გექნებათ ალბათ, რომ ანთების მაგიერ ვიღაცეები სვამენ ნავთს. კარგი იქნება, რომ საცალფეხო გზებსაც მიაქცევდე ყურადღებას, თორემ შენი მტერი დამატვრიეს მოსამსახურებმა თავპირი, ნამეტურ უმთავრო ღამეში და წვიმიან დროს ლამის ტალახში დავიხრჩვეთ, დაარწმუნე აქაური ნაწილის უფროსი და გზის მოხელე, რომ სადგურის მახლობელ საცალ-ფეხო გზებს მოკირწყვლა და სუფთათ შენახვა უნდა და არა ქვების და ნეხვის საწყობათ გადაქცევა.

მიკრიკი.

—

საგურამო. 25 ივნისს აქ ერთი უბედურება დატრიალდა. როგორც მოგეხსენებათ აქ ჩვენ ვეყავს მოძღვარი ბაგრატი, რომელიც ერთ და იმავე დროს მღვდელიც არის და ვაჭარიც. ეკვირაობით ეკლესიაში მსახურებს, ხოლო დანარჩენ დროს თავის პატარა საწვრილმალო დუქანში ზის და ვაჭრობს. ეს დუქანი ძან დიდი ხანი არ არის რაც გამართა ეკლესიის წინ. ყიდის მარილს, „ქუჩუჩიან“ კომფეტებს, წუმწუმას, ნაფთს და რასაკვირველია ღვინოსაც. აბა ღვინოთ როგორ შეიძლება რამე საქმის გაკეთება. ხშირათ თვითონაც ქეიფობს სხვებთან ერთათ. საქონელი მუდამ საღი აქვს და ხელ-მისაწდომ ფასებში ჰყიდის. და აი ამ ვაჭარ მღვდელს 25 ივნისს ვიღაცამ „მათრახი“-ს ნომერი მისცა ხელში. დახედა თუ არა მღვდელმა ვაიო ერთი კი დაიყვირა და

მათრახი

იქვე ჩაიკეცა. ძლივს მოაბრუნეს. გადარჩა, მაგრამ ჯერ კიდევ ლოგინათ წევს. როგორც გავიგეთ მამა ბაგრატს განზრახული აქვს, როცა წამოდგება დარაჯები დაყენოს გზებზე, რომ „მათრახ“-ის ნომრები არ შემოიტანონ საგურამოში.

№ 1.

—

ხუფხა. ჟურნალ „მათრახის“ გამოსვლა კოვზით ზიარება არის, ზოგიერთ აქაურ ვაჟბატონებიზა, ვინაიდან დიდი ხანია მათ ზურგი ექავებათ. იმედია თუ მთელ მათრახს ვერ გაიმეტებთ, კუდს მაინც არ დაიშურებთ. სიას მალე გაახლებთ პროპორციონალურათ გამოანგარიშებულს, თუ ვის რამდენი მათრახი სჭირდება.

არკადიელი.

—

თელავი. ერთი მანდილოსნის თაოსნობით ამ დღეებში აქ გაიმართა საინტერესო „საკეკვაო სალამო“. ხალხი ბლომათ დაესწრო და ფრიად მთვრალიც დაბრუნდა მეტის სიამოვნებისაგან.

— გადაიყვანეს კახიძე. ამბავმა თავზარი დასცა თელაველებს. მადლიერმა საზოგადოებამ ხელათ სადილი გაუმართა. სადილს ხალხი მლომათ დაესწრო ჯ აუარებელი სიტყვებიც დაიხარჯა. გულ-ანუყებულმა საზოგადოებამ ბევრი იტირა. საზოგადოებამ გადასწყვიტა დააარსოს კახიძის სახელობის ფონდი. შემოწირულება ბლომად გროვდება. მოთავენი არიან ონიკაშვილი და აჯიმამუდოვი.

ფალავანი

—

ხაშური. ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ შესანიშნავი მოხდა ხაშურსა შინა:

ყველა დუქან-სამიკიტნოები ელექტრონით არის განათებული, რამაც ძლიერ მიიზიდა ხალხი.

მიკიტნები ძლიერ დაგვიღონდნენ, მიზეზი ის არის, რომ ელექტრონის ზედგავლენით როგორც ჭიქა ისე ბოთლები ძლიერ ჩქარა იცლება, ასე რომ „პოეზდები“ ღვინის ზიდვას ვეღარ ასწრებენ. ღონისძიება არის მიღებული, აქვე ადგილობრივ შეადგინონ, ქიმიურათ, ღვინო, მაგრამ საუბედუროთ ტუნელის წყალი არ იძლევა საჭირო ანალიზს.

ამიტომ საჭიროა მათრახი ამისთანა, ქიმიკოსების გადასარეკავთ, რათა არ მოგვეწყალოს მოშავალი თაობა, თორემ ჩვენი უთაობა ბევრს რამეს დაგვაკლებს.

ლ. მეშანქანე.

—

ეფლახი. დადგა კოლოთა სეზონი, მაგრამ დიდი კოლოს დამარცხების გამო ბატარა—ბი დიდს მწუხარებაში არიან.

იგივე.

შეცდომის გასწორება.

„მათრახი“-ს პირველ ნომერში მოთავსებული იყო წერილი, ქვეშ წარწერით „პატივისცემით **სოსიკო მერკვილაძე**“. როგორც გადმოგვცეს თურმე ეს წერილი ბევრს მართლა სოსიკო მერკვილაძის ჰგონებია. ვაცხადებთ, რომ ეს წერილი სოსიკო მერკვილაძეს არ ეკუთვნის და თან ჩვენ მწუხარებას ზედ ვუმატებთ.

„მათრახის“ რედაქცია.

ᲘᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

წარსული წლების იუმორ. ჟურნალების კომპლექტი:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1908 წ. სულ 34 ნომერი, ერთად შეკრული ღირს—2 მ., იგივე მშვენიერის კალენკორის ყდით ეღირება — — 3 მ. —

2) „მათრახ-სალამური“ 1909 წ. 34 №—2 მ. — იგივე მშვენიერის ყდით — — — —3 მ. —

3) „მათრახ-სალამ.“ 1910 წ. 34 № —2 — 50 იგივე მშვენიერის ყდით — — — —3 — 50

4) „ალმანახები“: 1909 წ. აკაკი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ტარტაროზი და სხვ. სულ 10 №—50 კ.

5) „სალამური“ 1911 წ. სულ 20 №—1 მ. —

6) „ფაუსტი“—1 მ., 7) „კოოპერაცია“—30 კ.

ვინც გასასყიდათ დაიკვეთს თითოეულს არა ნაკლებ 5 ცალისა დაეთმობა 25% მიმართეთ „შრომის“ სტამბაში თეოფილე ბოლქვაძეს, ბუხნის ქ. 12.

ოფვენების ქერი, ბამბულების დაბრაკვების შემდეგ.

ელექტრო-მბეჭდავი „შრომა“, ბუხრანის ქ. 12. რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.